

# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო გრანტების კონკურსის დებულება

## 1. ზოგადი დებულებები

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ფუნდამენტური სამეცნიერო გრანტების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის, თეორიების და მოდელების შექმნას, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციას, ახალგაზრდა მკვლევრების ჩართვას კვლევით პროცესში, ახალგაზრდების მოზიდვას, ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტსა და უცხოურ უნივერსიტეტებს შორის ერთობლივი კვლევების წარმოებას და მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევების განვითარებას. კვლევის შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში წვლილი უნდა შეჰქონდეს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში ეროვნულ ან/და საერთაშორისო დონეზე.
- კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია შემდეგი მიმართულებების მიხედვით:
  - ეკონომიკა და ბიზნესი;
  - სამართალი;
  - საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა;
  - მედიცინა, ფარმაცია, სტომატოლოგია;
  - მევენახეობა-მელვინეობა.
- კონკურსი ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი.
- აღნიშნული დებულება არეგულირებს 2018 წლის გაზაფხულის კონკურსის პირობებს და საგრანტო პროექტების შერჩევის წესს.

## მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

- პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის ხელმძღვანელი** – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი ან/და მეცნიერ-თანამშრომელი რომელიც ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია პროექტის სამეცნიერო შედეგებზე და საქმიანობის ანგარიშგებაზე.
- პროექტს უნდა ჰყავდეს **ძირითადი პერსონალი** – პროექტში ძირითადი პერსონალის სახით ჩართული უნდა იყვნენ **ახალგაზრდა მკვლევრები უნივერსიტეტიდან** – არანაკლებ ერთი ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, რეზიდენტურის ან დოქტორანტურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. ასევე, შესაძლებელია ჩართული იყოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბაკალავრი, მაგისტრი, ან დოქტორი, რომელთა აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი. გარდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებისა, პროექტში სასურველია რომ ჩართული იყოს ნებისმიერი უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი და ამავდროულად არ არის სხვა უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი. გარდა პროექტის ხელმძღვანელისა, ძირითად პერსონალში შესაძლებელია ჩართული იყოს უნივერსიტეტის სხვა აფილირებული აკადემიური პერსონალი ან ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ძირითადი პერსონალი ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. აუცილებელია ახალგაზრდა მკვლევრები ძირითადი პერსონალიდან ჩართულები იყვნენ თანაავტორობად გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში. ახალგაზრდა მკვლევრების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი კვალიფიკაცია, მოტივაცია რაც მათ საშუალებას მისცემს განახორციელონ იმ დონის სამუშაო, რაც შეესაბამება პუბლიკაციის თანაავტორობის მოთხოვნებს.

- პროექტს შესაძლებელია ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში; დამხმარე პერსონალი უნდა იყოს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტ(ებ)ი.
- პროექტს უნდა ჰყავდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია** – უცხოური უნივერსიტეტი ან/და ეკონომიკური აგენტი<sup>1</sup> (უცხოური ან ადგილობრივი). თანამონაწილე უცხოური უნივერსიტეტიდან პროექტში ჩართული უნდა იყოს უცხოელი მეცნიერი პროექტის ძირითად პერსონალში. უცხოელ მეცნიერს უნდა ჰქონდეს პროექტით გათვალისწინებულ თემატიკაზე მუშაობის გამოცდილება. თანამონაწილე

<sup>1</sup> იურიდიული პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ეს ტერმინი აგრეთვე მოიცავს მოგებაზე არაორიენტირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და სხვა გაერთიანებებს, რომლებიც არიან ზაზრის მონაწილენი ან მოქმედებენ მეწარმეების, საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და პროფესიული გაერთიანებების ინტერესების შესაბამისად. (საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, 2005 წლის 3 ივნისი, მუხლი 2.)

ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში, პროექტის ძირითად პერსონალში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი იურიდიული პირის თანამშრომელი. გრანტის მოპოვების შემთხვევაში, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე აუცილებელია წარმოდგენილი იქნას უცხოური უნივერსიტეტის ან/და ეკონომიკური აგენტის თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ, შესაბამისად ქართულ ან ინგლისურ ენაზე. ასევე, პროექტში ჩართული უცხოელი მეცნიერის ან/და ეკონომიკური აგენტის თანამშრომლის თანხმობის წერილი შესაბამისად ქართულ ან ინგლისურ ენაზე (pdf ფორმატი). აუცილებელია თანამონაწილე ორგანიზაცია ასრულებდეს პროექტით ნაკისრ გარკვეულ ვალდებულებებს, რომელიც ასახული იქნება საპროექტო წინადადებაში

5. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანადაფინანსებელი** – იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც უნივერსიტეტთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ კვლევით პროექტს;
6. **პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით** ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია უხელმძღვანელოს **მხოლოდ ერთ პროექტს**. პროექტი ჩათვლება მიმდინარედ, თუ კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის დასრულებული და დახურული.

### მუხლი 3. პროექტის სამეცნიერო შედეგები

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი ინგლისურ ენაზე ჟურნალში/კრებულში/საკონფერენციო მასალებში. ეს უკანასკნელი აღნიშნული უნდა იყოს პროექტის გეგმა გრაფიკის ამოცანებში. ამასთანავე აუცილებელია რომ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატიებიდან ერთი მაინც გამოქვეყნდეს ჟურნალში/კრებულში/საკონფერენციო მასალებში, რომელიც ინდექსირებულია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში/რეიტინგებში: web of science, scopus, SCImago Journal Rank, ERIH plus.

### მუხლი 4. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 12 ან 18 თვე. თითოეული საანგარიშო პერიოდი უნდა შეადგენდეს 6 თვეს. უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20000 ლარს პირველი მუხლის 2.1, 2.2, 2.3 მიმართულებების შემთხვევაში, ხოლო 25000 ლარს 2.4, 2.5 მიმართულებების შემთხვევაში..
2. პროექტის ბიუჯეტში მოთხოვნილი თანხა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
  - ა) **პროექტის ძირითადი პერსონალის ანაზღაურება** - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.
  - ბ) **ოფისის ხარჯები** - საკანცელარიო, სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების, კომპიუტერული პროგრამების შეძენა-შენახვის, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საფოსტო გზავნილების და სხვა ოფისის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან. ასევე მობილური ბალანსის შევსების ხარჯები არაუმეტეს უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი ბიუჯეტის 3%-ისა. 500 ლარზე მეტი ღირებულების ნივთის ან/და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის შემთხვევაში, საპროექტო წინადადებასა და ბიუჯეტის განმარტებაში სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული აღნიშნული ნივთის შეძენის აუცილებლობა.
  - გ) **წარმომადგენლობითი ხარჯები** - უცხოელ სტუმრებზე გაწეული ხარჯები, რომლებიც მოიცავს დახვედრის, გაცილების, მიღების, ტრანსპორტირების, სასტუმროში განთავსების, ოფიციალური სადილის და სხვა ხარჯებს.
  - დ) **კვების ხარჯები** - სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში, მონაწილეთა კვებასთან დაკავშირებული ხარჯები.
  - ე) **ექსპედიციის და სხვა სამუშაოების ხარჯები** - სამეცნიერო ექსპედიციის ან/და სხვა სამუშაოების ფარგლებში მგზავრობის ხარჯები, საწვავის შესყიდვის ხარჯები, კვების ხარჯები, ბინის დაქირავების ხარჯები, საჭირო აღჭურვილობის ხარჯები, ექსპედიციასთან და სხვა სამუშაოებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.
  - ვ) **კვლევის შედეგების გავრცელების და პოპულარიზაციის ხარჯები** - რეკლამის ან/და სხვა მსგავსი ღონისძიების ხარჯები.
  - ზ) **სამივლინებო ხარჯები** - სამეცნიერო ღონისძიებაზე რეგისტრაციის, მგზავრობის, სასტუმროში განთავსების, ყოველდღიური და სხვა ხარჯები.
  - თ) **კვლევასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები** - ლაბორატორიული მომსახურების ხარჯები, საბანკო მომსახურების ხარჯები, სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო აქტივების ხარჯები (ესკიზები, მაკეტები, ჭურჭელი, მედიკამენტები, ცხოველები და მცენარეები, სხვა) და კვლევასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯები.

*შენიშვნა: სავალდებულო მოთხოვნაა, რომ პროექტისთვის მოთხოვნილი თითოეული ხარჯი იყოს სათანადოდ დასაბუთებული ბიუჯეტის განმარტებაში და შეესაბამებოდეს პროექტის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და შედეგებს.*

- პროექტის ბიუჯეტში უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი თანხის ხარჯვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი ბიუჯეტის 35 პროცენტს. აუცილებელია, პროექტში ახალგაზრდა მკვლევრ(ებ)ის ჩართულობა გათვალისწინებული იყოს პროექტის ბიუჯეტის ყველა საანგარიშო პერიოდში. უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.
- გრანტის სახსრებით დაუშვებელია პლანშეტის, მობილური ტელეფონის შეძენა.
- პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება უნივერსიტეტს.

### **მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები**

- კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე: [awards@ciu.edu.ge](mailto:awards@ciu.edu.ge)
  - ნაწილი პირველი – პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტები**
    - დანართი 1- პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (word ვერსია);
    - დანართი 2 - საპროექტო წინადადება (pdf ფორმატი);
    - დანართი 3 - პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები, რომელიც შევსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის GMUS ბაზაში (CV) ან უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული CV-ის ფორმა (pdf ფორმატი);
    - დანართი 4 - პროექტის ბიუჯეტი და მისი დასაბუთება (excel ვერსია);
    - დანართი 5 - პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (excel ვერსია);
  - ნაწილი მეორე – პროექტზე თანდართული დოკუმენტები:**
    - პროექტში ჩართული ახალგაზრდა მკვლევრების/სტუდენტების აკადემიური მოსწრების ცნობა/დიპლომის დანართი, სადაც აღნიშნულია GPA.
    - თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): თანადაფინანსებელი იურიდიული ან ფიზიკური პირის თანხმობის წერილი თანხის მითითებით, დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით. ასევე ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები.
    - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ხელმოწერილი ძირითადი პერსონალის მიერ.
- საპროექტო წინადადების გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს.
- პროექტის თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს pdf ფაილების სახით ქართულ ენაზე.

### **მუხლი 6. კონკურსზე რეგისტრაციის წესი**

- კონკურსზე რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:
  - პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2018 წლის 1 ივნისიდან 16 ივლისის 18 სთ.-მდე.
  - სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტში განცხადების წარმოდგენა (დანართი 6) - 2018 წლის 18 ივლისის 18 საათამდე.
- ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპზე** კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი პროექტის შინაარსობრივი და თანდართული დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს 5.1 პუნქტში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის ელექტრონული ფოსტიდან, რომელიც გახსნილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმების, ფორმატისა და წესების დაცვით.
- საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია (გამოგზავნილია ელ.ფოსტაზე [awards@ciu.edu.ge](mailto:awards@ciu.edu.ge)).
- დადგენილი პირობების, რეგისტრაციის წესების და ვადების დარღვევით შემოსულ დოკუმენტაცია საკონკურსოდ არ განიხილება.

### **მუხლი 7. კონკურსის ადმინისტრირება**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში:
  - პროექტის თანდართული დოკუმენტების არასრულად ან დადგენილ მოთხოვნებთან (ვადები, წესი, ფორმატი, და ა.შ.) შეუსაბამოდ წარმოდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი დაადგენს ხარვეზს

და დააწესებს ვადებს დოკუმენტების წარმოსადგენად.

ბ) უნივერსიტეტი შეამოწმებს პროექტის სუბიექტების შესაბამისობას კონკურსში მონაწილეობის პირობებთან და შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში კონკურსიდან მოხსნის პროექტს;

გ) პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტების არასრულად, ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი კონკურსიდან მოხსნის პროექტს ხოლო CV-ის ფორმის შეუვსებლობის/წარმოუდგენლობის შემთხვევაში დაადგენს ხარვეზს;

2. ტექნიკური ექსპერტიზის დასასრულს უნივერსიტეტი გამოაქვეყნებს შუალედურ შედეგებს კონკურსიდან მოხსნილი პროექტების შესახებ. საკონკურსო პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტების აბსტრაქტები გადაიგზავნება თითოეული ფაკულტეტის დეკანთან, რომელიც ნიშნავს საბჭოს სხდომას და გამოყოფს ორ ექსპერტს (ერთი შიდა და მეორე გარე) თითოეული პროექტისთვის.

## **მუხლი 8. პროექტების შეფასება**

1. ფაკულტეტის საბჭოს მიერ ექსპერტების გამოყოფის შემდეგ, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი აგზავნის პროექტს მათ ელექტრონულ ფოსტაზე.
2. ექსპერტები აფასებენ პროექტს დადგენილი შეფასების კრიტერიუმების (დანართი 7) მიხედვით დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად უნივერსიტეტის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.
3. თითოეული პროექტისთვის საბოლოო ქულა იქნება ექსპერტების შეფასებების საშუალო არითმეტიკული.
4. ექსპერტებისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი ადგენს პროექტების რანჟირებულ სიებს ამ წესში განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით და რანჟირებული სიები დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს.
5. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასების სრული 50 ქულიდან 40 ან მეტი ქულის მიღება.
6. საბოლოოდ, ყველა სამეცნიერო მიმართულებისთვის, შედგება ერთიანი რანჟირებული სია, გამარჯვებული იქნება ყველაზე მაღალი ქულებით შეფასებული პროექტები, გამოყოფილი ბიუჯეტის შესაბამისად.
7. ორი თანაბარქულიანი პროექტის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პროექტს რომელსაც უფრო მეტი ქულა აქვს დაგროვებული თანმიმდევრულად მე-2, 3.1 და 3.2 კომპონენტში.
8. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, პროექტის ძირითადი პერსონალის, თანადამფინანსებელი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მათი პროექტის შესახებ ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნების გაცნობას.
9. ექსპერტი უფლებამოსილია არ მიიღოს მონაწილეობა შეფასების პროცესში, იმ შემთხვევაში თუ მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი პროექტის ხელმძღვანელთან და ეს ფაქტი შესაძლებელია ხელის შემშლელი აღმოჩნდეს მისი მხრიდან პროექტის ობიექტურ შეფასებაში.